# თეატრი და ცხოვრება

"ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი"

№ 25 1916 ფასი
კვირა, 19 თიბათვე 10 კ.

წელიწადი მეოთხე
გამოცემისა

† ა. თ. ყიფშიძე



პირველი ქართული გუნდი, ლადო აღნიაშვილის თაოსნობით შემდგარი 30 წ. წინად

## 19 თიბათვე

**დრამატიული საქმის** მელპომენის ტაძარი **დრამატიული მდგომარეობა.** უბრალო სავაჭრო სახლად იქცა, ხელოვნება—შემოსავლის წყაროდ, მისი მსახური—დაქირავებულ მუშად.

ახლანდელი წარმოდგენები უმეტესად იმიტომ კი არ იდგმის რომ მაყურებელს ესთეტიური—გრძნობა განუვითაროს და ზნეობრივ-გონებრივად აღზარდოს, არამედ... წარმოდგენის გამმართველთ შემოსავალი აიღონ.

საქმის ასე მოპყრობა-კი დიდათ მაზარალებელია:

ყურჩდება შვენიერება-სილამაზის გრძნობის განვითარება, უმაღლესისადმი მისწრაფება.

გონება ჩლუნგდება, განცდა დუნდება.—

ოცდა მეჩვიდმეტე წელიწადია, რაც **ქართული დრამატიული საზოგადოება** არსებობს, რომლის მიზანია საქართველოს საზღვრებში ქართულ სასცენო ხელოვნების აღორძინებას ხელი შეუწყოს.

ამ საზოგადოებას დიდი არა, მაგრამ მაინც თვალსაჩინო დახმარება, სუბსიდია ეძლევა.

მერე რას აკეთებს მისი გამგეობა?

იმას, რომ წინად თუ ავად თუ კარგად ანტრეპრენიორის როლს ასრულებდა, ახლა თბილისშა ქართული წარმოდგენების მართვა ინტრიგანობით ანუ რომელიმე „პირველი" მსახიობის დიქტატორობით შემდგარ ამხანაგობას მიანაბარა და მისი მოღვაწეობა იმაში გამოიხატება, რომ დასს სუბსიდიის სახით რამოდენიმე ასეულ მანათს გადასცემს ხოლმე.

იმას კი აღარ დაგიდევს: რა დასია ეს დასი, რა წარმოდგენებსა და როგორ მართავს და სხ.

ამიტომაც არის ჩვენებური წარმოდგენები წყალ-წყალა, ულაზო; ამიტომაც არის, რომ ახალი ძალნი აღარ ჩნდებიან და ვინც არიან— ისინიც იქსაქსებიან...

განა ასეთ პირობებში შეიძლება ილაპარაკო სასცენო ხელოვნების წარმატებაზე?

განსაკუთრებული ადათის შემუშავება ტრადიცია ქართველი მსახიობისთვის ხომ არ არსებობს,

პლასტიკა, დიქცია, ჟესტიკულიაცი—მისთვის უცნობია.

ხანგრძლივი, იდეური, თავგამოდებული მუშაობა, ნაკისრი დიდი საქმის კრძალვით მოპყრობა მისთვის არ არსებობს: დღეს მსახიობია ხვალ, თუ შემოსავლიანი ადგილი შეიჩინა, იქ მიბრძანდება...

რა თქმა უნდა, ქართულ სცენასაც ჰყავს თვისი წამებულები, ერთგული ქურუმნი, გამონაკლისი, მაგრამ ლამის არის მათით დაწყებული დიდი საქმე მათითვე დასრულდეს.

ახალი ძალის გამოჩენა, ახალი ნიჭი განა ვისმეს ახარებს? არა: თითოეული ხელდასხმულთაგანი თითქო იმასა ცდილობს, ახალი დასჯაბნოს, ჩაახშოს...

ჩვენი **„დრამატიული ხელოვნების ამაღორძინებელნი"** კი... თითქო მხოლოდ სათვალსეიროდ არიან მოწოდებულნი.

როგორც ისმის ქუთაისის **დრამ. საზოგადოება** უფრო ფხიზლად **ირჯება** და ამ წლიდან თბილისის საუკეთესო ძალებს იწვევს.

ქუთაისს, რასაკვირველია, დასი ექირვება, მაგრამ ქ. თბილისს რომ ერთი რიგიანი ქართული დასი არა ჰყავდეს—ეს დიდი დანაშაულობა იქნება.

ნუ თუ ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობა თვისი უმოქმედობით თვით მოიკლავს თავს?!

სანამ ძალები არ დაქსაქსულან, საჭიროა ზრუნვა მომავალ სეზონისათვის დასის შესადგენად, ხოლო თუ არსებულ გამგეობის წევრთ თვისი კერძო საქმეთა გამო არა სცალიანთ საქმეს გაუძღვენ, ეს რაც შეიძლება დროით თვის მარწმუნებელს—საზოგადოებას უნდა აუწყონ: ან საქმეს ბეჯითად გაუძღვენ, ან საქმეს ჩამოშორდენ,—ასე ერთ ადგილას დგომა კი აუტანელია, საქმის დამღუპველი.

# ა. თ. ყიფშიძე ფრონელი

ვის არ გაუგონია ჩვენი მახლობელი წარსული ყოფა-ცხოვრების მეცნიერულ დაკვირვებით მკვლევარი და პოეტური აღმაფრენით მომთხრობი — დამწერი „მთიულეთი 1804 წ.“, „კახეთის ამბახების“, „მთის არწივის“, „დიდებული მესხეთის“ და მრ. სხ.; ჩვენი სამიწათმფლობელო და საგლეხო საქმეთა თითქმის ერთადერთი კარგი მცოდნე, საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ ვითარებაში ღრმად ჩახედული ალექსანდრე (საშა) თეოდორეს ძე ყიფშიძე—ალ. ფრონელი?

კაცი, რომელმაც რუსის სამსახური დაბალი ძახელეობით დაიწყო, განვლო სხვა და სხვა საფეხურნი, მოძრაობის დროს ქუთაისის ვიცე-გუბერნატორობა იკისრა (სტაროსელსკის გუბერნატორობის დროს), ხოლო რეაქციის ხანში კინაღამ სახრჩობელა დაიმსახუა განმანთავისუფლებელ მოძრაობის გამო და თავი იხსნა მესამე პუნკტით (ისე დაითხოვეს სამსახურში შე'ვლა ვერ შესძლებოდა) და არსად: საგუბერნიო სამართველოში, ვიცე-გუბერნატორობაში არც ერთ წუთს თავისი ბედკრული სამშობლოს თავგამოდებული სამსახური არ დაივიწყა, კაცი, რომელიც მ.მულის გამოფხიზლება-დაწინაურებას ემსახურებოდა, ბოლოს, სამიწათმომშუაობ კომისიას მოექცა სათავეში და ცდილობდა სიბატონო მიეწბილ გლეხების ხელში გადასულიყო...

და ეს კაცი ჩვენმა ქვეყანამ დაჰკარგა: 16 თიბათვეს დეპუტათა საკრებულოდან შინ დაბრუნებული თავის სახლის ახლო (ყაზბეგის ქ. № 37) წაიქცა და უცებ სული გა. ნუტევა...

ეს ამბავი სწრაფად მოეფინა თბილისს და საყოველთაო მწუხარება გამოიწვია...

მისი საზოგადოებრივი და სამწერლო მოღვაწეობა აღნუსხვა ასე სწრაფად, როდესაც ჟურნალი დასაბეჭდად უკვე გამზადებული გვქონდა, შეუძლებელი შე ქმნა,—ეს შემდეგ ნომერში იქნება, ახლა-კი ვიტყვი, რომ ჩვენმა ქვეყანამ ფრიად თვალსაჩინო მოქალაქე—მოღვაწე და დიდათ ნასარგებლო-საპატრიოტაცი დაჰკარგა.

საუკუნედმა დარჩება ხსენება შენი, ძვირფასო ალექსანდრე: შენ ღირსეულად განვლე ჩვენი საზოგადო ცხოვრების ეკლიანი გზა და ნეტარება შენ, რომ ჩვენს სახელოვან წინაპრებთან პირნათლად წარსდგები, ვითარცა ვალმოხდილი საქმეშეკალ!

**იოსებ ბარიმათიელი**

---

# თამაში

ეს სიტყვა უნდა ამოიშალოს თეატრის დექსიკონიდან.

მართლაც რსებობს ისეთი მიმდინარეობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ყველა ხელოვნება თამაშიდან წარმოსდგა, მაგრამ არსებობს მეორე დებულებაც, რომელსაც ეოგველივეს დასბამად, საფუძვლად, რაც კაცის ნიჭს შეექმნია, შრომაჰქნია.

მაშასადამე ჩვენც ამ **შრომას** უნდა შევაკეთ დღეთ თავი.

თუნდა იგი ჩვენი ნამდვილი წინაპირიც არ იყოს... ვიფიცოთ მამინაცვლის სული.

ეს გაგვაკვირვებ ალბილებს, აგვამაღლებს.

— შენ რა რიგს თამაშობ ლეს?

— რიგის ითამაშე?

— რამდენჯერ ითამაშნია?

— კარგად ითამაშა!

— მშვენიერად თამბაშობს!..

ეს... უნდა ვეცადნეთ... თეატრის კატმა მაინც, რომ მოგვსთოდეთ ჩვენ შორის, მოგვსთბინოთ ბრესაშიც..

რა ვუყოთ რომ ევროპიულ ენებზედაც შსახიობის შრომას თამაში ქვიან! კანა ეველაფერში უნდა მომბაძველები ვიყვეთ!

ვითამაშე კი არა, დავიტანჯე რიგის კან-

სახიერებით. (შეიძლება სხვებიც გავტანჯე! ეგ სხვა საკითხია!)

მაგრამ მე, როგორც მსახიობი, უთუოდ ვშრომობდი, უთუოდ ვქმნიდი ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში და თუ კი ვიყავ სინდისიერი, უთუოდ ამ როლის განსახიერებასთან მოგვიტანე ჩემი გონება, ჩემი გულისძნობა, ჩემი ნერვები.

ეს ტოტალ!

ადვილათ ვამბობ როლის განზეპირებაზე. ეგ უკვე მეორე ხარისხოვანი ამბავია, უფრო ფიზიკური დადადვა.

მე ვამბობ მხატვრულ მონახაზზე, როდესაც განსასახიერებელ პირობებს უკვე სრულად ბაწვდი და შემოქმედების ან მხატვრულ გარდაქმნის პროცესი განვლილ...

ამის შემდეგ-და შემეძლო თამაში?!

**და** თუ ჩვენ **ვთამაშობთ**, იმიტომ სხვებიც გვეთამაშებიან კიდეც.

იმიტომ კვლავ უნდობლათ გვეპურობა საზოგადოების **უმრავლესობა.**

ხშირად კაიგებთ უთუოდ:

— არა, თეატრის მნიშვნელობა კი მესმის, მაგრამ ისე რა დიდი სიქმეთქვენა გაქვთ. როდი კაიზეპირე, გამოდი და ითამაშე...

რა ადვილი ამბავია!

მაგრამ ჩვენიბრალია, თვით ჩვენვე, სცენის მუშაკნი ვეპურობით ჩვენ სიქმეს ადვილათ და მსუბუქათ, არა ვფიქრობთ რა დიდი მოგალეობა გვაწევს კისრად...

ლაბრალდებანი ბევრი გვაქვს, მაგრამ მე ვამბობ იმაზე, რაც ჩვენს ხელთა. არა გვაქვს თიოქო მტკიცე რწმენა ჩვენის სიქმისა, არა ვართ ფანატიკოსები და ჩვენც ხშირად მართალ რომ ვთამაშობთ

ვიმეორებ იმიტომაც გვეთამაშებიან სხვებიც კი თუნდა ჩვენი ბატონ პატრონნი, დრამატიული სიზოგადოებანი... თამაშით გვეპურობიან ჯამაგირებსაც ათამაშათ გვირიგებენ.

— ხუთი მანეთი არ გეყოფა?

— თვეს რომ კადასცდეს ჯამაგირი მერე რა ვუყოთ? ათი დდე იყოს თუნდა? ნახეგარი თვეც... შენ ითამაშე!

არა მგონია რომელიმე მუშაკს ეგრე ეპურობოდენ, როგორც მსახიობს.

ისე თეატრალობა კი დიდია. რიხი და ზეიმი ბევრი გარეგნულად თითქო ისე კარგა არც ერთ სიზოგადო მოდგაწეს არ უქნევიან, როგორც ჩვენ..

ბენეფისები იუბილეები! ჭაი, ჭუი!

ეს იმიტომ რომ აქ მეტევრ მეტუფლების გამოჩენა შეიძლება. შეიძლება მამულიშვილურ სიმებზე მაფურებელთა გულის ატოკება, ცრემლის წარტაცება და სხვ. ერთის სიტეკვით მართალ ნამდვილი კომედიანტობა, თამაში.

სამწუხარო რომ არ იყოს, გაგეცინება როდესაც ეგეა ამას წარმოიდგენ.

ქრისტესაგით მძაგრი უნდა იყო კაცი, რომ ერთ მშვენიერ დდეს ეგეა ეს სადუბეეფლნი და ფარისეველნი განდეგნო ტაძრიდან, ეგეა ეს ტაძარში მოგაგრენი და შენ კი გულ დამშვიდებულმა აცაგდინო ლოცვა შენის მეუფისადმი...

დდეს-დდეობით კი იმდენიც ვერ მოგვიხერხებია, რომ სოფლის მასწავლებლების მდგომარეობამდე ავმაღლდეთ.

მასწავლებლებს კი გეეძახიან, მოძღვრებს-კი გეიწოდებენ...

მაშ მოისპოს ჩვენს სფერში სიტეკვა **თამაში**

რაცა ვიხმარობთ?

ნუ თუ მე მხოლოდ სიტეკვებზე ვიდავარკე?

ჭო.- სიტეკვები არსებობენ: შესრულება, განსახიერება, კაბირობენება.

მაინც და მაინც არც ერთი მათგანი არ ამცირებს მსახიობს. **შალვა დადიანი**

**მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული**

ამ ჟამად თბილისში. ეზო-ეზო დადის და ს.რიპკაზ. კლასიკურ მუსიკას უკრავს მოკლე ხანში საქართველოს სხვა კუთხეებისკენ გაემგზავრება ჩვენი ერის მუსიკალური ფსიხიკის შესასწავლად

# სიხმარი სანგრებში

(მოთხრობა)

თედო მამასთან ერთად გუთანზე იყო წასული, რომ გზირმა ელისაბედს გამოუცხადა, თედოს ჯარში იწვევენო.

— უი, ჩემს თვალებსა! — შემოიკრა თავზე ხელი ელისაბედმა, ქვა-ნაკრავსავით გაშეშდა, ხმა ვერ ამოიღო.

— ხვალ დილა-ადრიან წავიდეს გორში „ნაჩალიკთანა“ ი ბიჭი, — დაუმატა გზირმა და თავის გზას შეუდგა, რათა სხვებისათვისაც გამოეცხადებინა ამგვარი არასასიამოვნო ამბავი.

ელისაბედი-კი კაი ხანს ისევ იმ ადგილას იდგა, შემდეგ, როცა გამოირკვა, წივილ კივილი შეჰქმნა:

— შვილო თედო, შენს თავსაც მართმევენ!.. შაქრო არ იკმარეს? შენ რაღას გიხმობენ!.. ვაი, — ჩემს თავსა!..

მოსთქვამდა საბრალო; როცა გული მოიჯერა ტირილით და როცა მის ტირილზე შეგროვილმა დედა-კაცებმა მოტყუებით დაამშვიდეს, იქნებ „ნაჩალნიკი“ სხვა რამისთვის იბარებს თედოსაო, ელისაბედი წავიდა მინდორში ქმრისა და შვილის სანახავად.

რასაკვირველია, კიმოთესაც არ ესიამოვნა თვალ-ცრემლიან ელისაბედის ამბის მოსმენა. ხმა-ამოუღებლივ მოისმინა და თავი ჩაღუნა. მწარეფიქრებში გაერთო. ორი შვილი ეზრდებოდა: „წამომესწრებიან, გვერდში მომიდგებიან და ღარიბ ოჯახს ფეხზე წამოიყენებენო“. ოჯახში სამი კაცის ყოფნა ხუმრობა ხომ არ არი! მთელი სიმდიდრეა.

და აი მართლაც გვერდში ამოუდგნენ შაქრო და თედო მამასა; მათი საქმეც მოკლე ხანში კარგად წავიდა, მაგრამ დაიწყო საშინელი საფლიო ომი, რომელმაც ყველა გაიყვანა: დიდი-პატარა... და შაქრო კიმოთეს ხელიდან გამოსტაცეს, სალდათად წაიყვანეს. და, აი, ეს ათი თვეა არაფერი ისმის მისი: მოკლეს თუ ტყვედ წაიყვანეს. ბევრი ეცადა, მაგრამ ვერა გაიგორა და ეხლა... ეხლა მეორე ვაჟიშვილიც მიჰყავთ.

— ეჰ, დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი, — ბოლოს ამოიოხრა კიმოთემ და გულდაწყვეტილმა გადაჰხედა თედოს. თედო კი თითქოს არაფერი მომხდარაო არხეინად ეალერსებოდა წაბლის ფერ თვისსაყვარელ ხარსა. პირ-იქით, მის ჯერ კიდევ ბავშურ გულს, უფრო გაუხარდა სალდათში წასვლა. თედო დიდი ხანია ნატრობდა, როდის ვიქნები ოცი წლის, რომ სალდათში წამიყვანონო. ნატრობდა იმიტომ, რომ უცხო ქალაქებს ვნახავო, რუსულს ვისწავლიო და უფრო რა ახარებდა თედოს — ეს სალდათის ჩაცმულობა შარშან ბერიკაანთ სანდრა ჩამოვიდა სახლში და მისმა კავალერიის მოკაზმულობამ გააკვირვა. თავზე რაღაც შავი ჯამის მსგავსი ქუდი ეხურა. ქუდში ჩარჭობილი ჰქონდა ფარფაშა უშველებელი ფრთა. ტანზე ეცვა ლურჯი ყვითელი ბუზმეტებით აჭრელებული კურტკა. მისი შარვალი ალის ფერი იყო, თითქოს სისხლში ყოფილიყოს შეღებილი. გაწკრიალებულ ჩექმებზე დეზები ეკეთა. ამისთანა ამბავი სოფელში პირველი იყო და ამან თედო ძალიან გაიტაცა.

ნატვრა აუსრულდა თედოსა, საშინელმა ომმა დიდებთან ერთად პატარებიც მოითხოვა. თედო სულ თვრამეტი წლისა იყო. ტანით პატარა, ბავშვური სახის გამომეტყველებისა, სუსტი, ავადმყოფი. ის არ წაგავდა მდევ შაქროსა, რომელიც ოჯახის ნამდვილი ბურჯი იყო, ამიტომ მამაც არც იმდენს მოიშველიებდა ხოლმე თედოსა, როგორც უფროს შვილსა. აი დღესაც თვით თედომ დაიჩემა გუთანზე წასვლა, თორემ კიმოთეს არც-კი უნდოდა მისი მოხმარება.

— შვილო, შენს თავსაც მართ მევენო, საყვარელ. ი დალოცვილი ხელმწიფეც რა , რომ ერთი არ იკმარა და მეორესაც კითხულობს, — ტიროდა ელისაბედი. — წავალ მეც ხვალ თედოსთან ერთად გორში და შევეხვეწები „ნაჩალნიკსა“, ეგები შემიბრალოს და შენი თავი მაინც მაჩუქოსო..

თვალზე ცრემლი ლაპა-ლუპით მოსდიოდა. მივიდა თედოსთან და გადაეხვია.

—

„ვოინსკის ნაჩალნიკის“ დიდი ეზო ხალხით გაჭედილი იყო.

აქ მოეყარათ თავი მაზრის ყველა სოფლის ახალგაზრდებს, რომლებსაც ჯარში იწვევდნენ. აქვე ნახავდით ბევრ მტირალ-აბუზულ წელში მოხრილ დედებსაც, რომელნიც მოსულიყვნენ შვილის გასაცილებლად, რათა მათი უკანასკნელი გამგზავრების ნახვით გამძლარიყვნენ, მათ ნამტირალევ, ტანჯულ სახეზე უკვე ამოიკითხავდით, რომ შვილების სახლში დაბრუნების პატარა იმედიც არა ჰქონდათ, ბევრიც იმ მოსაზრებითაც მოვიდოდა რომ „ნაჩალნიკს“ შეხვეწოდა და ევები შეებრალებინა და მისი შვილი სახლში დაებრუნებინა. აქვე ნახავდით ბერი კაცსაც, რომელიც თავის ჯოხს ანუ ყავარჯენს დაბჯენოდა და მწარე ფიქრში იყო გართული.

არ ნაღვლობდა ახალგაზრდობა. ის უკვე შეჰრიგებოდა იმ აზრსა, რომ, იწუხებდა თუ არა მაინც ჯარში წაიყვანდნენ და სცდილობდა სამშობლოში ყოფნის უკანასკნელი წუთები მხიარულად გაეტარებინა. აი ერთ მხარეს შეგროვილნი „ცანგალა და გოგონას“ მღეროდნენ, ერთი მათგანი ქოჩორ გაშლილი, საყელო გახსნილი, რომლის ქვეშ წითელი კერანგი უჩანდა, უქამრო, გულმოდგინეთ ფეხებს უსვამდა და ცდილობდა მარცხენა ფეხი, რომელიც მის ნებას არ ემორჩილებოდა, მარჯვენა ფეხისათვის აეყოლებინა. თან ისი კანიერი „თექვსმეტ კანიანი“ შარვლის ტოტი წინდიდან ამოსჩაჩოდა და თამაშს უშლიდა. დანარჩენები სიმღერასთან ერთად ტაშს უკრავდნენ

მეორე მხარეს ჭიდაობა გაემართათ. ჭიდაობა გორელებს ძალიან უყვართ, ამიტომ აქ უფრო მეტი ხალხი იყო. ყველა სცდილობდა წინ წაწეულიყო, რომ უფრო კარგად დაენახა. წეს-რიგის დამცველი იძულებული მიყო უსაშველოდ ცემა ქამრით ფეხში ჯიუტ მაყურებლებისათვის: აი გაათავა ერთმა წყვილმა ჭიდაობა. როგორც ყოველთვის ხდებოდა ამგვარ ჭიდაობაში, თავისით იშვიათად თუ გამოვიდოდა ვინმე: ამიტომ მეთაურები ირჩევდენ ფალავნებსა. გამოიყვანეს ერთი; მეორე ჯიუტობდა, ჭიდაობა არ უნდოდა.

— გამო, შე ქიტე ძაღლო, — ებღაუჭებოდა ერთი მეთაური ჯიუტსა.

— ი მდევ კაცთან რა მაჭიდავებს, ხომ დამამტვრია! —

— არა გიჭირსა-რა, მიხა შენებური კისრულით წამოიდე, — გულს უკეთებდნენ მისი სოფლელი ამხანაგები.

როგორც იყო დაითანხმეს. შუა წრეში გამოვიდა ერთი ვინმე და გამოაცხადა:

— ჭიდაობს ორი „პარა“! შიშო ოკმელი და მიხა ბოჟმელი. — შემდეგ ნახევრად მიუბრუნდა სალამურისა და დოლის დამკვრელებს და უთხრა: — დაუკათ!

მოჭიდავეებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ერთმანეთს გაშორდნენ. შემდეგ მოუბრუნდნენ ერთიმეორეს და ეძგერნენ. ცხარე ჭიდაობა გაიმართა. მაყურებლებმა სული განაბეს. წარმოიდგინეთ, წეს-რიგიც კი არ დარღვეულა: წრის გარედ არავან გამოვიდა, როგორც იდგნენ ისევ ერთ ადგილას იყვნენ გაჩუმებულნი. მხოლოდ ზოგს კისერი დაეგრძელებინა, რომ უკეთ ედევნებინა ჭიდაობისთვის თვალ-ყური, ზოგი მთელ ტანში მოხრილიყო, ზოგს ხელი ან ფეხი გაეშვირა თითქოს რომელიმე მოჭიდავეს მისაშველებლად უნდაო, და ისე გაშეშებულიყო, ზოგს პირი დაეღო, ალბად გამამხნევებელი სიტყვის თქმა უნდოდა, მაგრამ ისე გაეტაცნა ჭიდაობასა რომ ვერ მოეხერხებინა.

ჭიდაობა მართლაც ცხარე იყო. მთელ საათს ეძგერებოდნენ და გაშორდებოდნენ ერთი-მეორეს. ხან ერთი წამოიკიდებდა ხან სარმას გამოჰკრავდა, ხან მეორე: ხან ერთს გაუჭირდებოდა ხან მეორეს. მოჭიდავენი მოიღალნენ. ჭიდაობის არაქათი აღარა ჰქონდათ. აი იმ ჯიუტ მოჭიდავემ, რომელსაც მდევ კაცთან ჭიდაობისა ეშინოდა, იდროვა და ისეთი კისრულით გადმოიდო უშველებელი მოწინაამდეგე, რომ კინაღამ სული არ გასძვრა ამ უკანასკნელსა.

სიხარულისა და გაკვირვების ყიჟინა დასძახა აქამომდე სულ-განაბულმა მაყურებელმა.

— ყოჩაღ, ბარაქალა, რომ არ შემარცხვინე, — ხელი დაჰკრა მხარში მოჭიდავეს წეს-რიგის დამცველმა.

— ჰე-ე, ძალიან მარდი ბიჭი კი ყოფილა, რომ იმ წიწილა ბიჭმა იმოდენა მდევი დასცა,—ისმოდა ქება ერთ მხარეს.

— აბა, კაცო, ე მაგისთანა კისრული არსად მინახავს ჩემამ მზემა, აი,—კვერი დაჰკრა მეორემ.

— კაცო, ე რა მოგივიდა რო ოკმელებმ შეგვარცხვინე?—უსაყვედურებდა დამარცხებულ მოჭიდავეს მისივე სოფლელი.

— რა ვიცი, შვილონიასა. დიდი ეშმაკი კაცი კი ყოფილა ი გამჩენ ძაღლი,—მართლულობდა დამარცხებული.

ბიჭები დიდ-ამბავში რომ იყვნენ და უზიარებდნენ ერთი-მეორეს თავის შთაბეჭდილებასა, მოვიდა ჩაფარი და გამოაცხადა: „ნაჩალნიკი“ მობრძანდა და ეხლა კენჭის ყრა იქნებაო.

ამოდენა ხალხის ტალღა ახლა კანცელარიის კარს მიაწყდა.

კენჭის ყრა დაიწყეს. **მირ ხორხელი**

(გაგრძელება იქნება)

* * *

განთიადისას მზეს ეშაირე
და შეიმოსე ბროლის ვარდები,
მითხარ: მოგივალ ახალის ტრფობით
და სამუდ მოდ შემიყვარდები.

ახ! რა ლამაზი იყავი, მტრედო,
როცა ჰყვაოდა ბალჩა იებით;
მწუხრზე გაჰფრინდი... და დავიღალე
შენის ფიქრებით, შენის ძიებით...

შორეულ სივრცეს მოლოდინითა
ამაოდ ჰმზერენ ჩემი თვალები..
შენ-კი .. სადა ხარ, უძვირფასესო,
და რომელ ყვავილს ეტრფიალები?

ო, ვიწვი, ვიწვი შორეულ ცეცხლით,
ღრუბლიან სევდით ღამდება გული:
ო, დამიბრუნდი, უძვირფასესო,
ვით განთიადი, ვით გაზაფხული!...

**გ. ლეონიძე**

**მოლიპულ გზაზე** (გაგრძელება) იხ. „თ და ც.“ № 24

**ქეთ.** ჩემო მხსნელო! რა კარგი და მშვენიერი ყოფილა სიცოცხლე, აქამდი სიბნელეში ვიყავ, ახლა დავიბადე ქვეყანაზე.

**ოქრო.** ჩემო ღმერთო!

**ქეთ.** ოქრო? გესმის ეს მომხიბლავი ხმა, ამ ღვთიურ ღამეში, როგორ რაკრაკებს მთის წმინდა წყაროსავითა?!

**ოქრო.** მესმის, მესმის სულზედ უტკბესო! ეგ ხმა სალამს ეუბნება ჩვენს მტკიცე კავშირს!

**ქეთ.** დიახ, სალამს! სალამს უძღვნის ჩვენს ბედნიერებას. ჩემო ღვთაებავ!

**ოქრო.** (შესძახებს) ქეთინო (ერთმანეთს გადაეხვევიან).

**ფარდა**

**მოქმედება მეოთხე**, სურათი მეშვიდე.

(**სადგომი—სასტუმრო თავ. რამიშვილისა, თბილისში. სასტუმროს მოწყობილობა ძალიან მდიდრულია, ევროპიულად მორთული შიგა და შიგ აღმოსავლეთის გემოვნება შერეული. შუა ჭერში დიდი ელექტრონის ჭაღი ჰკიდია. დარბაზს სამი კარი აქვს: ერთი პირდაპირ, ორიც მარჯვნივ** და მარცხნივ. მარჯვნივ კუთხეში ძვირფასი როიალი სდგას. კედლებს დიდი სურათებიამშვენებს, ძვირფასი სავარძლები და სხ... საერთოდ სასტუმრო სავსეა სხვა და სხვა საუცხოვო (გამამშვენებელი ნივთებით) იატაკი მოფენილია საგანგებო ხალებით).

I.

**მაკინე და ოქრო.**

(ცოტა ხანს სცენა ცარიელია. შემოდის მაკინე, ძვირფას ხავერდის კაბაში გამოწყობილი. გულსა და თავზე ვარდები აქვს გაკეთებული. მომხიბლავად არის მორთული).

**ოქრო.** (უკან მისდევს, მაკინეს ხელში მარაო უჭირავს).

**მაკ.** თუ კი ეგრე გაწუხებს, ოქროჯან, თავი დაანებე, გენაცვალე. შენი კმაყოფილება, სიხარული სიცოცხლედ მიღირს!

**ოქრო.** არა, მაკო, ჩემი მწუხარება მაშინ უფრო არ გაორკეცდება, როცა ეგ მამული გამოგვეცლება ხელიდან?

**მაკ.** რახან არ იშლი, სანდო კაცს მაინც ესესხე!

**ოქრო.** ვის!

**მაკ.** აი, თუნდა თადეოზ სვიმონიშვილს,

**მომღერალი ვანო სარაჯიშვილი**

„ახალმა კლუბმა“ მიიწვია სიიფონ. კონცერტებში მონაწილეობისთვის.

**ქეთო კალაძე**

საუკეთესო, ნიჭიერი სცენის მოყვარე ხაშურის სცენისა. პირველად გამოვიდა 1913 წ. და მას შემდეგ ღირსეულად დაიმსახურა ადგილობრივი საზოგადოების ყურადღება და სიყვარული.

# რა მემღერება?!.

რათ არ მღერიო? ნეტა რა მაქვს მე სასიმღეროს?!.
დღეს უსახლკაროს, უბინაოს რა მემღერება?!.
რისთვის მოვმართო ჩანგი ჩემი, რისთვის ვამღერო,
ოდეს სამშობლო საყვარელი ცრემლში იხრწნება?..
არას მარჩენენ... ჩემს სიმდიდრით სხვები ხარობენ...
მე თავის დაცვის, აძრ ხმის არა მაქვს ნება..
მე ჩემს მამულში თავისუფლად არ მატარებენ...
აბა მითხარით, მე ბედით კრულს, რა მემღერება?!.

**კ. ძიძაძე**

---

ჩვენი ოჯახის მეგობარია, არა მგონია დაგვიჭიროს.

**ოქრო.** მეც მომწონს შენი რჩევა. მართლაც, თადეოზი უთუოდ მასესხებს. ამის გარდა დამაცდის კიდეც მომავალ წლამდის, ძალას არ დამატანს, რადგან მას არ უჭირს ფული!

(შემოდის მოსამსახურე მუნდირში გამოწყობილი და გერცხლის ფოდნოსზე დადებულ წერილს შემოიტანს. ოქროს გადასცემს).

**მოსამს.** თქვენთან წერილია (გავა).

**ოქრო.** (უცბად დასტაცებს ხელს) უსათოოდ ქეთოსაგან იქნება. (გახსნის) არა, იმისაგან არ არის! (კითხულობს) „პატივცემულო თავადო ოქრო! გთხოვთ ყველას ერთობ: კნეინას, თქვენ და თავად იასონს. დღეს საღამოზე მეწვიოთ და დამავალოთ. თქვენი პატივის მცემელი თადეოზ სვიმონიშვილი“.

**მაკ.** რა ჩინებული შემთხვევა გვეძლევა ოქრო! გინდა გაგანთავისუფლო მაგ განზრახვისაგან?, შენ აღარ გათხოვნინებ, მევე ვაკისრებ?

**ოქრო.** თუ კი მაგ საქმეს მიზამ, დიდად დამავალებ.

**მაკ.** ბატონი ხარ.

**ოქრო** წარმოიდგინე, მაკო. ეს მეორე კვირა გარბის, რაც ქეთოსათვის წერილი არ მომიწერია!

**მაკ.** მერე, როგორ მოგივიდა, ჩემო კარგო, რომ აქამდის დასტოვე უკითხავად საწყალი გოგონა? დღეს არა და ხვალ ერთად გავგზავნოთ. მეც მინდა მივწერო განოს. დღევანდელი საღამოს შთაბეჭდილება საყურადღებო იქნება ქეთინოსთვის!

**ოქრო.** საკვირველია, მაკო, რომ ერთის თვის განმავლობაში, ჩემთვის წერილის პასუხი არ უღირსებია: მე ორი წერილი გავუგზავნე და იმან კი ჯერ არც ერთზე არ მომცა პასუხი? ძალიან მაშფოთებს ეს. იქნება ჩემი გაგზავნილი წერილები დაიკარგა?

**მაკ.** რას ლაპარაკობ, ოქრო! თავის დღეშიაც არ დაიკარგება, განოს ადრეით არას დროს არ მახსოვს, რომ დაკარგულიყოს! და რადა შენ იღბალზე დაიკარგებოდა? მერე განოს ამბავი შენ არ იცი, მაშინვე გადაურბეინებდა ქეთინოს?

**ოქრო** მაშ რას უნდა მივაწერო?

**მაკ.** არ დაიცადი საწყალ ქალს, რომ მოგწეროს? იქნება კიდევაც მოგწერა. ან იქნება რა გარემოებაშია? მოითმინე, მოგივა, რა იმდენი ხანია გასული?

# კაცთმოყვარე ადამიანი

† ალოიზი ბალდანის ძე შიხინოვი

კიდევ ერთი სასარგებლო ადამიანი გამოგვეცალა ხელიდან.

13 თიბათვეს თბილისში მუწუკის ამოქრით გარდაიცვალა აფთიაქარი ალოიზი შიხინოვი!

ვის არ გაუგონია ალოიზი ბალდანის-ძე ვინც-კი ჩვენს კულტურულს ზრდა-განვითარებას თვალ-ყურს ადევნებს, ალოიზის სახელიც ეცოდინება.

ალოიზი ქართველი კათოლიკე იყო, დაიბადა თბილისში და მოსკოვში სწავლის დამთავრების შემდეგ, პროვიზორის ცოდნა-წოდებით აღჭურვილმა პირველად ქ. გორში აილო აფთიაქი იჯარით, სადაც საყოველთაო სიყვარული და პატივი დაიმსახურა; რვა-ცხრა წლის წინად თბილისში, ვაგზლის ქუჩაზე გაალო საკუთარი აფთიაქი სამკურნალოთი (ღარიბთათვის უფასოდ).

ამ ხუთიოდე წლის წინად ქართ. ღრამ.

---

**ოქრო.** მე კი მოთმინება დამეკარგა და! . ასე მგონია, მაკინე, იმას წერილმა რო დაიგვიანა ჩემზე გული აიყარა, დამივიწყა და პალიკოს დაუბრუნდა მეთქი! იცი, ერთ ორ დღეს კიდევ მოუცდი და თუ მანამდინ არ მომივიდა წერილი, მე თვითონ წავალ მის სანახავად. ავად ხომ არ გახდა?

**მაკ.** პატარა ხომ არა ხარ, ოქრო! რა გაქვს სამწუხარი? რა გახდიდა ავად? იქნება მალე მოგივიდეს წერილი! შენ მანამდე გაერთე, თავს შემოგევლე. (ჩუმად.) მართლა ეხლა ხომ წახვალ კრებაზე?

**ოქრო.** შაქრო მოვა. შემატყობინებს რომელ საათზე აქვთ დანიშნული ან რა ადგილას და წავალ.

**მაკ.** რა კრება გაქვთ!

**ოქრო.** ჩვენ უნდა დავაარსოთ თანხა რომლიდანაც ყოველ აუცილებელ საჭიროებას მიეცემა დახმარება.

**მაკ.** წადი, უსათუოდ გენაცვალე! შენი აზრი, შენი რჩევა დიდად საჭიროა მათთვის შენ რომ სულით და გულით ეწაფები საქველმოქმედო საქმეებს?

**ოქრო** რასაკვირველია, რაც კი შემი ძლიან არაფერს დავზოგავ ჩემი ხალხის კეთილდღეობისათვის. ცოტაოდენი საქმე მაქვს საანგარიშო და, როცა შაქრო მოვა, შემატყობინე. (გადის).

**მაკ.** კარგი, გენაცვალე, რამ წამს მოვა დაგიძახებ. (ოქრო გავა.)

**მაკინე.** (მარტო) არ ვიცი, როგორ გადავავიწყო ის გომბიო! ლამის არის გადაეკიდოს ოქროს და იმედები მომისპოს! მთელი დღე სულ მაზე ჩამძახი ყურში. ქეთინო ანგელოზია, ჭკვიანია, ასეთია, ისეთიაო, რითი არი მაზედ ნაკლები თადეოზის ქალი? სხვა არა მინდარა მე გამიგონოს და შეირთოს ლიზა! მისი ფულებით მთელ ქვეყანას ხელში დაიჭერს ოქრო! რატომ ამას აღარ ფიქრობს, რომ სულ ერთავად ჭეშმარიტებაზე და კეთილდღეობაზე გაიძახის? სულ ქეთინო უდგას თვალწინ? (პაუზა) მერე ჩვენ რა გაჭირვებაში ვართ ეხლა და როგორ დაგვეხმარებოდა თადეოზ სვიმონიშვილი, თუ ჩემი განზრახვა კარგად შესრულდა, მაშინ მე ვიცი ქეთინოც თავიდან მოშორდება, მე ვიცი ოქროს როგორ გადავავიწყებინებ, როდესაც დავარწმუნებ ძალაუნებურად ქეთინოს ღალატზე. (შემოდის იასონი. მაკინე დაღონებული მიუბრუნდება.)

II

**მაკინე და იასონი.**

საზ-ის წევრ-ხაზინდრად იქმნა არჩეული, რომელ თანამდებობასაც სიყვარულით და კეთილსინდისიერად ასრულებდა.

კერძოდ ქართულ თეატრსა და საზოგადოთ-ჩვენს კულტ. საქმეებს დიდის თანაგრძნობით ეპყრობოდა და საქმითაც ეხმარებოდა: უცოლშვილო კაცი იყო და თუმცა მახლობელთაც ინახავდა, ქართულ საზ. საქმეთათვის ნივთიერი დახმარება არ ეზოგებოდა. განსაკუთრებით გულ-მტკივნეულობით ეპყრობოდა ქართული სცენის მოღვაწეთ. მძიმე ავადმყოფობაშიაც კი არ დაივიწყა სამშობლო სცენის მუშაკნი და ალ. ივ. სუმბათაშვილის საპატიოდ გამართულ საღამოსთვის მოისურვა — წამიყვათ, ჩემის მხრით მინდა **ასი თუმანი** გადავცე და სხვებსაც ვსთხოვო, ვისაც რა შეუძლიანთ გადასდონ ჩვენი მოხუც მსახიობთა დასახმარ თანხის შესადგენადო. ამ სურვილის აღსრულება თუმცა თვით ვერ შესძლო, მაგრამ მის დებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ ძმის ანდერძი შეასრულონ, გარდა ამისა, ისმის ვითომც ალოიზს მიწის ნაჭერიც დაეტოვებინოს ამავე მიზნით.

ალოიზის ჩუმი ქველმოქმედებანი-კი—გაჭირვებულთა, ქვრივ-ობოლთა შესაწევარი აქ არ აიწერება: უმწეოთა დახმარება მისი სულიერი მოთხოვნილება იყო .. ჯერ შუახანსაც არ იქნებოდა მიღწეული და ჯანლონით სავსე, ასე მოულოდნელად გამოეცალა სამშობლო ქვეყნის მუშათა მცირე ბანაკს.

ნუმც წარიხოცება ხსენება შენი, კეთილო, ყოველ ბედკრულის გულშემატკივარო და შენი ერის მოყვარულო, მეგობარო ალოიზ!

**ი—ლი.**

---

**მაკ.** ესე იასონ, დამის არის ამდენი ფიქრისგან ჭკუაზე შევცდე! რა უნდა ვუყო. ჩვენ საქმეს?

**იას.** რა იყო, ქალო? რა სულ წუწუნებ, განა ისეა ჩემი საქმე, რომ შენ მოგაკლო, შენ გერგოს რამე, ჩემო სიცოცხლევ?

**მაკ.** მართლა რა ჰქენი იმ საქმისა, ჯერ ვერ მოახერხე?

**იას.** რა ვქენი და დავტყუე... ის ვექსილი აქა მაქვს! საწყალი კი დარწმუნებულია, რომ დღე დღეობით ჩავუთვლი, ხა-ხა-ხა! რა მოუცია, რა უნდა წაიღოს?

**მაკ.** რასაკვირველია, გაჭირვებული ადამიანი ბევრს პირობას დაუდებს მოვალეებს, მერე მოეწყინება აასრულოს ყველაფერი. პატიოსანამ კაცმაც მხედველობაში უნდა იქონიოს დაალარ მოსთხოვოს შეუძლებელი.. მართალია, ორასი თუმანი გამოგვირთმევია, მაგრამ ახლა ხომ ვერ დაგვახრჩობს, როცა იქნება მივცემთ! იასონ, ეს კი არა, დაკარგულ მამულს რა უნდა ვუყოთ? ან ახლა რომ მოახლოვდა იმ მიწების გაყიდვა, თუ ფულს მალე არ ჩავაბარებთ?

**იას.** უნდა ვისმეს ვესესხო უეჭველად. მინდოდა თადეოზისთვის მეთხოვნა, მაგრამ არა მგონია, მასესხოს.

**მაკ.** მეკი იმედი მაქვს, რომ უარს არ გვეტყვის.

**იას.** როგორ?

**მაკ.** ოქროს წყალობით შეიძლება, გვესესხოს, თითონ ოქროს მაგივრად უნდა ვისთხოვო და ხომ იცი მას უარს არ ეტყვის.

**იას.** მერე ოქრო რას ამბობს?

**მაკ.** თანახმაა! ის უფრო ჩვენზე ძილიან სწუხს, რომ ეგ მამული არ დაგვეკარგოს!

**იას.** ნუ გეშინიან მაგ მამულებს არ დავკარგავთ?

**მაკ.** ერთიც ვნახოთ ფული დროზე ვერ ვიშოვეთ ხომ დავიღუპენით!

**იას.** ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო სიცოცხლევ სხვა რო არა იყოს რა ამ ეპოლეტების იმედი მაინც უნდა გქონდეს. ცუდაობაში კი არ მიშოვნია! შენ არ მომიკვდე! ყარსის ციხეს რომ ვიღებდით, ყველაზე წინ ხმალ და ხმალ მე მივუძღოდი, გზას ვუკვლევდი იმოდენა ჯარს! ესე დიდი ძალა დამადგა მაშინა და კიდევაც იმისთვ-ს მივიღე გენერლობა. ყველაზე თავში იასონ რამიშვილი ჩაეწერა ხელმწიფესთან წარსადგენ ქალალდში, როგორც გამარჯვებული, მამულისათვის თავდადებული, (ბაუზა) ამ ცოტა ხანში კარგს თანამდებობას მაძლევენ, ქალო!

(გაგრძელება მეორე ნომერში)

# სულის შაირი

(ნ. შ.)

თქვენ რა იცით ღმერთების წმინდა იდუმალება,
ან ვარსკვლავთა სიცილი, ან მთვარის მდუმარება;
იცით ადამიანნი ქვეყნად რისთვის ჩნდებიან,
ან რისათვის სცოცხლობენ, ან რილისთვის კვდებიან?!.
თქვენ რა იცით კოლხეთის გაზაფხულის მთა-ველებს
რა ძალა ასულდგმულებს, რა ეშხი ამეტყველებ ;
ან რა იცით რა არის ცელქი ქალის სურვილი,
ან სატრფოზე ოცნება, ნისლით შემობურვილი...

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

დღეს ვიხილე თვალები, შავ გიშრის ფრად ნთებული.
მარმარილოს არშია სხივად შემოვლებული.
გრძნეულივით გარემოს ცისარტყელას ახვევდა,
შვიდ ფეროვან ბუნებას სულის ჰანგებს ალევდა...
და ერთხელ, როს სიამით თვალნი ნაზად მომაპყრო
და ნაწნავი თმებისა მხრებზე გადმოიშალა,—
ჩემი სულის ძიება—ქვეყნის იდუმალება
ტრფობით ჩამთვრალ თვალებში ნელ-ნელ წამოიშალა..,

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

და დღეიდან წმიდაა სული ჩემი სნეული,
ღედოფალთან ბაღჩაში საალერსოდ წვეული...
დღეს სატრფოზე ოცნებამ სული ალზე ამიწვა
და თვით სატრფო სალოცავ კერპად სულში ჩამიწვა...

**ვეფხო-ფშაველი**

# იროდიონ ევდოშვილის ხსოვნას

(გაგრძელება იხ „თ და ც.“ № 24)

ჩვენ ვფიქრობთ, სრულ სიმართლეს აღვნიშნავთ, თუ ვიტყვით, რომ იროდიონ ევდოშვილმა ქართულ პოეზიაში რევოლიუცია მოახდინა. მართალია ფორმის გაუმჯობესების მხრივ მას შესამჩნევი ნაბიჯი არ გადაუდგამს წინ და საკუთარ სტილს მაინცა და მაინც ვერ დაიჩემებდა. მაგრამ შინაარსის მხრივ ის ჭეშმარიტად რევოლიუციონერია. სხვაფრივ არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან მესამე დასი, რომელსაც თავიდანვე ამოუდგა გვერდით იროდიონი, სწორედ რევოლიუციონერი იყო ქართულ ლიტერატურასა და აზროვნებაში.

მესამე დასის სახელით ალაპარაკდა საუკუნეთა განმავლობაში ალაგმული მშრომელი ხალხი, რომელმაც ზურგი შეაქცია თავად-აზნაურულ იდეოლოგიას და უძიძათო მოინდომა ცხოვრების ველზე გავლა. მისი სიტყვა, მისი გრძნობა და აზრი, როგორც განსაკუთრებული კლასისა, სრულიათ უჩვეულო უნდა ყოფილიყო და ეს ასეც მოხდა.

მას გვერდით ამოუდგა დაახლოვებით მისივე წრიდან გამოსული მგოსანი, რომლის აზრი და გრძნობა მაშვრალთა წრეში გაიფურჩქნა და მადლიანმა ნიჭმაც ის გვამცნო, რაც მის ყურს ხაეწვეთა და გულმა იგრძნო.

გადავავლეთ თვალი ერთის წუთით ჩვენს პოეზიას და აი რა დაგვეხატება თვალწინ. გვყვანან კლასიკები: გრ. ორბელიანი, ბარათაშვილი, ილია

აკაკი, რაფიელი. ბარათაშვილის გარდა ყველა ამათგანი ცოტად თუ ბევრად შეხებია მშრომელ ხალხს, აუწერია მისი ყოფა-ცხოვრება, გაჭირვებული არსებობა და სხვა. მაგრამ მათი შეხება სწორეთ რომ შეხება ყოფილა, ფოტოგრაფიული სურათის გადაღება, სინემატოგრაფის ლენტზე გადატანა რაიმე მოვლენის. აქ თქვენ ვერ ნახავთ თვით გლეხის სულსა და გულს, აზრსა და გრძნობას' თუმცა თვალწინ გიდგათ მისი სიღარიბე და უმწეობა (მაგ. რაფიელი). ჩვენი კლასიკები გლეხის სახელით ლაპარაკობენ, თვითონ მოლაპარაკე გლეხს კი ძალიან ნაკლებათ ვხედავთ. მასთან ლაპარაკობენ მისი ცხოვრების იდილიურ მხარეზე, შრომის შვილს ხატავენ სტატიკურ მომენტში და არა დინამიკურში; თანაც გულმტკივნეულად მოუწოდებენ „ღმერთი დიდია ღარიბო" ნუ დაეცემი სულით და შენი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება მას მიანდეო, ხოლო შენ გამოდი ბრძოლის ველზე, იომე და ყოფა-ცხოვრება გაიუკეთესე, უფლება მოიპოვეო, არც ერთ ჩვენს ძველ კლასიკს არ უთქვამს გლეხისთვის და ვერც ეტყოდა, ვინაიდან ისინი, ჩვენი კლასიკები სხვა კლასის შვილნი იყვნენ, ხოლო მშრომელი მასსა კი სულ სხვა კლასს შეადგენდა. შემთხვევითი მოვლენა როდია, ან მათ „ბოროტ განზრახვას" კი არ მიეწერება (ჩვენში განსაკუთრებით ამ უკანასკნელს ებღაუჭებიან ხოლმე), რომ ისინი, კლასიკები, არ გვიხატავენ უფლებისთვის მებრძოლ გლეხს თუ ქალაქის მუშას, სავსებით ვერ გვიშლიან მშრომლის გრძნობა-გონებას და მხოლოდ პატრონურად თავზედ ხელის სმით და სანტიმენტალიზმით აიმედებენ გლეხს—არა, ეს იმის ბრალია, რომ ჩვენი კლასიკები სულ სხვა ნიადაგზე იყვნენ აღზრდილნი ვიდრე გლეხები. ყოველი მწერალი უკეთ ასწერს და გვამცნობს მხოლოდ იმ წრის სულსა და გულს, რომელშიც ის აღზრდილა და მომწიფებულა გრძნობა-გონებით.

სწორედ ასეთ მოვლენას ვხედავთ სხვა ხალხის ლიტერატურაშიც. დააკვირდით. მაგალითად რუსეთის სიტყვაკაზმულ მწერლობას. ავიღოთ ტურგენევი, გრიგოროვიჩი, გონჩაროვი, გოგოლი, ტოლსტოი. ყველა ამათგანს დაუხატავს გლეხი ცოტათ თუ ბევრათ დაახლოვებიან მას და საზოგადოებისთვის გადაუშლიათ მისი უმწეო მდგომარეობა, მაგრამ აბა მითხარით თუ ვინმე ხატავს გლეხს უფლებისთვის ბრძოლაში, ცხოვრების გაუმჯობესებისთვის ომში. ვერაფერ ამის მაგვარს ვერ ნახავთ. ყველა ეს მწერლები გენიალურის ნიჭით გაბრალებენ გლეხს, გიჩვენებენ მის სიბეჩავეს, უუფლებობას, გაპირუტყვებას, გიმტკიცებენ, რომ გლეხიც ადამიანია ისაც ჩვენსავით გრძნობს, ჩვენსავით აზროვნებს და მივსცეთ მას ადამიანურათ ცხოვრების საშუალება ნუ შევბოჭავთ მისს პიროვნებასო ეს არის მსჯელობა ვექილის, პედაგოგის და არა თვით გამწარებული პიროვნების, რომელიც მედგრათ ებრძვის არსებულ პირობებს, თავსაც კი აკლავს მას და წელში გასწორებული, თავისი სიმართლის მთელის არსებით შემგნე მედგრათ მოითხოვს და არა თხოულობს.

და განა ცოტა იყო ასეთი ტიპები ტურგენევ-გრიგოროვიჩის დროს რუსეთის ცხოვრებაში? რატო მარტო სუჩოკებს ხედავდა ტურგენევი? აკი სთქვა თვით ალექსანდრე მეორემ: ხალხი თუ ზევიდან არ გავანთავისუფლეთ, ქვევიდან გაინთავისუფლებს თავსო; ამის საბუთი მას ბევრი ჰქონდა. ხოლო დასახელებულ მწერლებს თუ გამოეპარა ესა, ეგ იმის ბრალია, რომ მათი სული და გული ამ გვარ მებრძოლებს ვერ თანაუგრძნობდა. ბრძოლა მათივე, მწერლების, წარმომშობ კლასის წინაალმდეგ იყო მიმართული და მისი იარაღით ხელში გადაწყვეტა როდი იყო სასიამოვნო.

— ცხოვრებამ ჩვენ საშინელ ყალბ მდგომარეობაში ჩაგვაგდო, — თითქოს ეუბნებოდნენ გლეხობას ეს მწერლები, — უსამართლობაზე უსამართლობაა, რომ თქვენის ოფლით ცხოვრობენ თავადები და ეს იმ დროს, რომ შენ თითონ შიმშილით კვდები; ცუდია, როცა ყოველივე უფლებით სარგებლობს თავადი და შენ ყოველგვარ ღირსება აყრილი ხარ, არ გთვლიან ადამიანათ, პირუტყვივით გექცევიან და სხვა. მაგრამ მოითმინე, გეთაყვა, და ჩვენ, ჩვენი წოდების მარილნი, რათაც უნდა დაგვიჯდეს, შენს ბედს გავაუკეთესებთ, მანამდე კი მოითმინე, ჩემო კარგო, წყნარად იყავი, არტახებს ნუ დაგლეჯ...

და განა თითქმის ესავე არ უთხრეს ჩვენმა კლასიკებმაც გლეხებს? „ღმერთი დიდია ღარიბო" მისი იმედი გქონდესო.

უფლისფერი ეს კი იმიტომ მოხდა, ვიმეორებ, რომ როგორც ჩვენი კლასიკები, ისე რუსის, ბატონები იყვნენ ცხოვრებაში, ჰუმანისტები იყვნენ და დიტერატურაშიც სავსებით გადაიტანეს ეს მათი არსება. ისინი გონებით ხედავდენ ცხოვრების სიდუხჭირეს, სხვის გაჭირვებას და მადამოსაც თავისებურის რეცეპტით აწოდებდენ. ბრძოლის ყოფნა კი ცხოვრებამ წამოაძახებინა რუსეთში მაქსიმ გორკის, ხოდო საქართველოში ირიდიონ ეგდოშვილს. ეი რა აზრით ვსთქვი ზეგით, რომ ირიდიონი ჩვენს დიტერატურაში რეგოლიუციონერი არისთქო.

„მე დროს შვილი ვარ, მან გამზარდა
თვის მოოთოლვარე მკრდზე
და ახლა თითებს ვათამაშებ მისსავ სიმებზე“,

მედგრად გაიძახის მგოსანი, რომელიც წარბშეუხრელად შეჰყურებს ცხოვრების უსამართლობას და მზით არის თავი შეაკლას მას.

„მე დროს შვილი ვარ, მაგრამ ურჩი ემის მშობლისა,
დავგმობ მე მასში რაც ღირსია კრულვა—
გმობისა“...

დამეთანხმებით, რომ ეს ენა არაა რაფიელის კვეხის და არც მუშა ბოქულაძის, აქ კი ისმის მედგარი ბიროვნების საქარიშხალო ჰანგი, ცხოვრების ახალად მშენებლის ეიფონა. ეს არის განსგენებულ მგოსნის ბოეზიის სუდი და გული, ჰეთოსი და ამიტომაც არის, რომ ეგეოს შებრძოლისთვის ირიდიონი საყვარელი მგოსანი იყო და კიდევ დიდხანს დარჩება, დარჩება მანამ, სანამ ჩვენს ცხოვრებაში ძველსა და ახალს შორის ბრძოლა არ მოისპობა, სანამ ცხოვრების განახლებისთვის მებრძოლნი გვეყოფებიან... და მერწმუნეთ, რომ „ეგე ბრეგო, წინ წინ გასწითო“ კიდევ დიდხანს, დიდხანს იქნება ჩვენის მისწრაფების დოზუნგათ.

მე არ ვიტყვი, რომ ირიდიონის ბოეზია უნაკლულოდ არისთქო, ეს არც უნდა ეოფილიყო, ვინაიდან მგოსანი თავისი ჩანგით უტრადიციოთ მოგვევლინა—ეგეოსისმობ შინაარსს—მას წინაპარნი არა ყოფილა, „ლე შუბლს ოფლის დაღი ჩნდეს და გულს სისხლის ნაკადული“ ირიდიონამდის არავის ეთქვა ჩვენს დიტერატურაში, სადაც ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულშიო“ ათასში ერთს თუ ვინმეს უნატრია. აქ ბდომათ უნდა ქონოდა ადგილი რიტორიკას, სიტყვების რახარუსს, ახალ ტიპების შიშითა და კალმის ცარცახით ხატვას და ეს დადი მარადაც შესაძენეკათ ასგია ირიდიონის ბოეზიას დაწერილებით ამაზე შეგერება აქ არ შეგვიძლია, ხოდო ვიტყვით შემდეგს: ეგდოშვილმა ერთი რომ საზღვარი გაუსვა ჩვენს კლასიკებსა და თავის შორის, მეორე მხრივ საძირკველი ჩაუყარა ახალ ცხოვრების მოთხოვნილების თანახმათ ადმოცენებულ ერთ დიტერატურულ მიმდინარეობას, რომელიც ჯერ კიდევ ეგდოშვილის მიერ შექმნილ კონტეპტიაში ტრიალებს და რომლის ზოგიერთმა წარმომადგენლებმა არა თუ ჩამოიშორეს ეგდოშვილის ნაკლი—რიტორიკა, არამედ კიდევ უფრო განავითარეს იგი და ასე წარმოიდგინეთ, თავისი ბიუულიარობიც კი ამით მოიზოგეს.

რა ვინმემ უკუმათარ გაიგოს ამ უკანასკნელ სტრიქონებში მ ერ ჯამოთქმული აზრი, ვეცდებით წინასიტყვაობისებური განმარტება მივსცეთ მას,—მაგრამ ამაზე შემდეგ.

**ვ. მალაქიაშვილი.**

(დასასრული იქნება)

# თუშური ლექსი.

ქალაო, შენ რო ქმარი გყავს,
მე ხისას გავთლი ისთასა;
დედ-მამამ წყალზე გაგგზავნეს
მინდვრისას, განა ტყისასა;
ქალ, გეძახ ბექის თავიდან,
თავ მაიბრუნე ხვთის მაღლსა;
გეძახეე და არ მომხედე,
მიხვალ და მიჰქსოვ წინდასა..
თან ზედ აყრიდი ცრემლებსა,
ნამებსა ჰგვანდა ცისასა,
ერთ ცხენ მეცა მყავს, ქალაო,
მიმინოსა ჰგავს მთისასა;
დავკარქავ — დავიკარქები,
რისხვას ავიტან ხვთისასა;
ქრისტეთში გადავვარდები
სახელს დავირქმევ წიქასა;
ქრისტეთ ციხეზედ დავალპობ
მარჯვენას შენი ქმრისასა;
დნებოდეს, ჩამოდოდეს,
ლიბოს არღვევდეს ქვისასა.
— შენ ამ ცოლს როგორ წაარომევ,
ღარიბ კაცი ხარ, მდიდარსა,
დაწყევლად ვერ გაგიმეტებ,
პირ გიგავს დილის ცისკარსა,
ერთ წყვილ წინდაებს დაგიქსოვ,
ყაჭის დაუდებ შიბასა..

**გედ. გელოვანი**

# ქართული მუსიკა

## (სიმღერა გალობა)

მისი ახლანდელი მდგომარეობა და განვითარება

(თავი მეორე)

ლადო აღნიაშვილი, იოსებ რატ ლი, ფილიმონ ქორიძე, ანდრია ბენაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ძმანი კარბელაშვილნი, ია კარგარეთელი. ალ. მოლოდინაშვილი და სხ. ქართულ მუსიკის სიმდიდრე —ჩვენი სიმღერა-გალობის განვითარება თუ დაცემა? სასწავლებლებში ქართულ სიმღერა-გალობის მოსპობა, ჩვე'ი ქალები და ქართული სიმღერა-გალობა. უმთავრესი პირობანი ჩვენი მუსიკის განვითარებისა ეროვნულ ფარგალში—დასკვნა.

მგალობელნი ძმანი კარბელშვილნი

სახალხო სიმღერებისა და ძველ საგალობლების გადაღება, შეკრებისა და გავრცელების საქმე ამ ბოლო დროს შესამჩნევად შეფერხდა.

მას შემდეგ რაც დაუვიწყარმა ლადო აღნიაშვილმა ამ ოცდა ათის წლის წინად დაიწყო ეს დიდებული საქმე, შეადგინა პირველად მომღერალ-მგალობელთა გუნდი, უანგარო მუშაკის იოსებ რატილის ლოტბ რობით, დასავლეთ საქართველოს კილოების მცოდნე ფილიმონ ქორიძემ, მელიტონ ბალანჩივაძემ, ია კარგარეთელმა და სხვათა, რომელთაც უფრო ფოტოგრაფიულის სისწორით გადაიღეს რამდენ·მე სიმღერა აგრეთვე მღვდლებმა ძმ. ვასილმა და პოლიევქტო კარბელაშვილებმა და ალ. მოლოდინაშვილმა, რომელთაც შერჩათ ქართული გალობის კილო შეჰკრიბეს ქართლ-კახური ძველი საგალობელნი და ზოგიც გამოსცეს განსვენებულ ალექსანდრე ეპისკოპოსის მეოხებით.

მას შემდეგ ბევრი არარაფერი გაკეთებულა გარდა ჩვენი სიმღერა-საგალობლების გადამახინჯებისა და გადაგვარებისა; შურისა, ერთი-ერმანეთის დაცინვისა და უმოქმედობისა·

აბა, ერთი მიბრძანეთ, სად არის ის სიმღერები, რომლითაც ქართველი ერი ამაყობდა და სულდგმულობდ ? სად არის ის ჭირსა და ლხინში სათქმელ სადიდინო მაღალ სასოების მომგვრელი, ნაზი საგალობლები, რითაც ქართველი მწუხარება-ჭირ-ვარამში ნუგეშს ჰპოვებდა ?!.. სად არის ის კილოები რომლებიც ქართველ მუშა-გლეხს ჯაფაში ახალისებდა და აქეზებდა?!.

ბევრი სიმღერა დაიკარგა ჩვენი დაუდევრობით, გაჰქრა მაგრამ კიდევ ბევრი მოგვეპოვება სოფლად მთა-ბარში მუშა-გლეხკაცის სულსა და გულში!

სანამ სულ არ გამქრალა ეს სიმღერებიც, ისევ ხალხისაგან გადმოვიღოთ, ისევ მათგან ვისწავლოთ და ვისარგებლოთ აქედანვე, თორემ დახანება არ ივარგებს, რადგანაც რაც დრო გადის, ჩვენი გლეხიც უპატრონობისგან გადაგვარების გზით მიდის.

განა უნდა დავივიწყოთ და გადავამახინჯოთ ისეთი, ხალხის მიერ შექმნილი, მეტად რთული, ჰარმონიული და მდიდარი, გულში ღრმად ჩამწდომი, ხან მხიარული და მჭექარე, ხან ნაზი და ტკბილი ათას ფრად აჭრელებული სიმღერები, როგორიც არის მაგ. აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლ-კახეთში: „მკისა“, „თოხნისა“, „ნამგლური“, „გუთნური“, „კალოური“, „ურმული“, „სუფრული“, „მაყრული“, „მგზავრული“, „ლაშქრული“, "ქორწილისა“, ,,ღამის-მეხრისა“, „მეტიური“, ,,ალილო‘‘, ,,ჭონა‘‘, ,, ზემყრელო“, „თამარ ქალო‘‘, „ყურშა“, „ჩაკრულო‘‘, ,,ჩონგურო‘‘,,‘ღმერთო ღმერთო‘‘, ,,გვიბძანე‘‘, „ჯავახური“, „ხეურო„, „ბერი-კაცია, „მოჯამაგირის სიმღერა“, „ზამთარი“, „მოწურული“, „ძმური“, „კახური მრავალ ჟამიერები“, და სხვ. დასავლეთ საქართველოში (იმერეთ-გურია-სამეგრელოში და სხვაგან, სიცოცხლით და სიმკვირცხლით სავსე სიმღერები: „ხასანბეგური“, „ხელხვავი“, „ალიფაშ , „ნადური“, ,,რაშორერო‘‘, „ცხენოსნური“, „სანადირო‘, ,,ოდური“, ,,მესტვირული„, ,,ქვერული‘‘ ,,კობახური‘‘, „შვიდ-კაცა“, „ადილა“, „ჩვენ მშვიდობა“, „ქაჯური“, ,,კუჩხა‘,

,,ლილე“. „ფერხულები“, „ცეკვისა“ და სხვ.

დიდძალი სიმღერები და საგალობლები გადაულეველია და გაუვრცელებელი, ყოველი ქართველი, ვისაც-კი მცირედი სიყვარულის ნაპერწკალი ღღვივის გულში თავის ქვეყნისა და მიწა-წყლისადმი მოვალეა ხელი შეუწყოს ამ საქმეს. დიდი, დიდი მომაკვდინებელი ცოდვაა და ღალატი ერისა, ასეთი თავთავის დროზე წეს-რიგზე, მ ლალ ბუნებრივად შექმნილ—შეწყობილი კილოების მივიწყება, ან გადაგვარება, დამახინჯება.

ნუ თუ ამ ჩამოთვლილ სიმღერებს და ჩვენს ეკლესიებში კიდევ ნამდვილ ტკბილ ქართულ გალობას მოკლებულნი უნდა ვიძახდეთ და ვაზვიადებდეთ, რომ „ქართული მუსიკა განვითარდა“-ო?!.. ეს ხომ ჩვენი თავის მოტყუებაა, უპატივცემლობაა ერისა და ხელოვნებისადმი!.

**მიხეილ კავსაძე**

(დასასრული იქნება)

შტაბს კაპიტანი

**ივანე კონსტანტინეს ძე გურგენიძე**

მოკლულ იქმნა 15 მაისს, 1915 წ. მდ. დუბისაზე გადასვლის დროს· მისი მამაცური მაგალითით წათამამებული ჯარი ყოველთვის იმარჯვებდა, რისთვისაც დაიმსახურა დიდი სიყვარული, გმირული სახელი და მრავალი ჯილდო,

# დროული ამბები

## ქართველ-სომეხთა თეატრი

ალბად ბევრს გაედიმება: რა დროს ქართველ-სომეხთა თეატრიაო, ნუ თუ ვერა ხედავთ მეზობლურ ერთი ერთობის და როგორ მობინდულსა!

და სწორედ ასეთ მავ-ბნელ დროსაა ბაჭირო ძმობა-ერთობის სანთლის ანთება!

ასეთი სანთლის ანთების აზრი გამოსთქვეს ჩვენმა მხცოვანმა ქურუმმა ვასო აბაშიძემ და სომეხთა დამსახურებულმა მსახიობმა აბელიანმა

ამ სამიოდე კვირის წინად თბილისში მოწოდებით მიმართა ორივე ერს: არც ერთს თეატრი არა გვაქვს, საკუთარი თეატრის აშენება ცალცალკე გაგვიძნელდება, შევერდოთ და ერთი თეატრი ავაგოთო!

ოჰ, რა დიდებული და კეთილშობილური აზრია!

მაგრამ რამდენათაც დიდებულია, იმდენად შორეული, განუხორციელებელი...

თითქმის ენუქას ანდერძი:

იმდენად მოშხამულია ჩვენი დრო.

ვინატროთ, ვეცადინოთ ჩვენი სამშობლოს მობინდული ცა გადაწმენდილიყოს და არა თუ ორ მეზობელ ერს ქართველ-სომეხთ, არამედ სამივე მეზობელ ქართველ-თათარ-სომეხთ, მალე აეშენებინოს ხელოვნების საძმო ტაძარი, იმავე ერის ძმობა-ერთობის განსამტკიცებლად!..

ამ იმედზე რო ვიყოთ, ბევრი კოკა წყალი წაიღის ვიდრე ჩვენ თეატრი გვეღირსება..

ქართული თეატრი ქართველმა ხალხმა უნდაააგოს თავისივე სახსრით...

**ექიმი შტოკმანი**

# წვრილი ამგები

**მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ძურხული**, რომელმაც კლასიკურ მუსიკის ხალხში გავრცელებით რუსეთში საპატიო სახელი მოიხვეჭა, გასულ კვირას თბილისს ჩამოვიდა და უბან-უბან დაიწყო მუსიკის დაკვრა: იგი ფიქრობს, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ქართულად და რუსულად ლექციების წაკითხვას მუსიკალურ განყოფილებითურ, ხალხურ მუსიკ ლურ განძის შეკრებას და სხ.

**ალექსანდრეპოლში** ოთხშაბათს, 22 ივნისს, ქ შ წ. კ. საზოგ. სასარგებლოდ ადგილობრივ ცენისმოყვარეთა მიერ დ. კ ბაზიძისა და ვ კალაძის ამონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ფული და ხარისხი“ და „არც აქეთ არც იქით“.

**ახალგაზდა კომპოზიტორმა** ირ. ჯაბარმა დასწერა ოპერა „გიულნარა“. უკვე გამოვიდა მისი ოთხი რომანსი.

**ვ. გუნიას** ქუთაისს იწვევენ დასის ხელმძღვანლად

**ძუთაისის დრამ. საზ-ბა** მომავალ სეზონისთვის დასის მიწვევას აპირებს,

**დ. ხაშურის დრამ. წრემ** საზაფხულო სეზონისთვის შ. დადიანი და ე. ანდრონიკაშვილი მიიწვ.

**რუსთა ახალგაზდა მგოსანი** ნ. გ. ბობიროვი რუსულად სთარგმნის ქართველ მგოსანთა ნაწერებს. სხვათაშორის, მუსიკოს რ. გოგნიაშვილისათვის სწერს „ქრისტინეს“ ლიბრეტოს რუს. ენაზე.

**იბეჭდება „ჩანგი“** სოროპანის გამოცემა, წიგნში ხელ ხალი მასალაა შესული, შემკული მრავალი სურათით.

**დ. სურამის დრამ. საზ.-ის გამგეობის** თავმჯდომარე გ. შალიბაშვილი მძიმე ავადმყოფობისაგან უკვე განიკურნა და ამ მოკლე ხანში მოიწვევს საზოგადო კრებას, რომელიც განიხილავს ყოველ გვარ საქმეს, საზოგადოებაში გავრცელებულ მითქმა-მოთქმას და თეატრის აგების საკითხს.

**ქართველ მოღვაწეთა აგარაკის** ასაშენებლად დ. სურამის საზოგადოებამ ასი თუმანი გადასდო, თუ ეს აგარაკი სურამში აშენდება. ამ საგანზე ქართ. კულტ- საზოგადოებასთან მ სალაპარაკებლად არჩეულ იქმნა გ. მაჭავარიანი და გ. შალიბაშვილი. ზემოხსენებულთ ფულის გარდა ადგილობრივმა ინტელიგენტთა წრემაც აღუთქვა შეწეობა.

**მსახიობნი** ალ. ყალაბეგაშვილი და ო. ღოღობერიძე საზაფხულოდ ხანს მიიწვიეს,

**ახალი რომანი** „წითელი ზამბახი“ დასწერა დ. კასრაძემ. რომანი მწიგნობარ ა ერთ წრეში წაიკითხეს.

**ხარკოვის უნივერსიტეტში** საქიმო ფაკულტეტი დაას ულეს: კლ. იოსელიანმა, გიორგი ჯინჭველაძემ. კლ. ასათიანმა, ვლ. ხვედელიძემ, ლ. წერეთელმა, და სევ. პაპავამ. ამათ ამ დღეებში გაგზავნიან მომქმედ ჯარში.

**წვრილი რედაქციის მიმართ**

ჩვენ ნაძალადევის სცენის მოყვარეთა და თბილისის სადგურის საქონლის მტვირთავ მუშების დახმარებით დავსდგით „ორი გვირი“ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ თანხის გასაძლიერებლად წმინდა შემო ავალი დარჩა 24 მან. და 21 კაპ., რასაც გიგზავნით გადასაცემ დ. ს. გოგაშვილი.


**ახალი ცირკი** 1 ივნისიდან 19 - 26 ივნისს

ოთხშაბათი — რუსული ოპერეტა

სამშაბათი სიმფონიური კონცერტი

ოთხშაბათი სინემატ სიმფ. ორკესტრი

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. (უფას); ორკ.,

პარა კ. სინემატოგრაფი, სიმფონ. ორკ.

შაბ. — სიმფ კონც. **სარაჯიშვილის** მონაწ.

კვირა - საბავშო სალამო, ორკეს. სინემატ.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ ს.

**შესასვლელი** ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1-05 კ.



**ახალი ალბომი**

**ახალი ალბომი**

ვედანილი ოსებმ იმედაშვილის ავტორ. შეკრებული-შესწორებული, გამოსული

**იბეჭდება** (უკვე 200 სვ დაბეჭდილი)

**ხელის მოწერა გრძელდება:** ძველ ხელის მომწერთათვის, ვინც ამა წლის 1 თებერვლამდე მოაწერა ხელი, წიგნი ღირს 2 მან., ახალ ხელის მომწერთათვის წიგნზე სახელ-გვარის ასოების ამობეჭდვით—**ოარი მ.** და **ათი. შაური.** ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлис. Ред- „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили. თბილისში ხელის მოწერა მიიღება „სოროპანი-“ს სტამბის კანტორაში, მადათოვის კუნძულზე, № 1, ვორონცოვის პატარა ხიდთან. პატივცემულ აგენტებსა ვსთხოვთ შეკრეფილი ფულის გამოგზავნა დაჩქარონ.

**რედაქტორ-კომპოზიტორი ანნა იმედაშვილისა**

Доволено Военной Цензурой **სტამბა „სოროპანი“**